ქართული ენა და ლიტერატურა
საგამოცდო პროგრამა VI კლასისათვის

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

I. სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება, კერძოდ:

- ამოიცნოს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაცია (მიზანი, ავტორი, ადრესატი);
- დააკავშიროს ახალი ინფორმაცია არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან;
- ამოიცნოს ტექსტში არსებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია და დააკავშიროს ერთმანეთთან;
- გაარჩიოს ვარაუდი ფაქტისაგან, ფაქტი - თვალსაზრისისაგან;
- ამოიცნოს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებული ლოგიკური და ქრონოლოგიური კავშირები;
- გამოიტანოს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;
- გაარჩიოს მთავარი და არამთავარი პერსონაჟები;
- ამოკრიბოს ტექსტიდან აზრობრივი თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ადგილები;
- ამოიცნოს მარტივი მხატვრული სიმბოლოები და მოახერხოს მათი ინტერპრეტაცია;
- გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვ-ლენების შესახებ;
- იმსჯელოს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე;
- გამოყოს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველი ადგილები და ახსნას აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული მხატვრული ხერხის დანიშნულება.
- ერთმანეთისაგან განასხვაოს საინფორმაციო ანგარიში, ამბის თხრობა, მარტივი ინსტრუქცია და სხვა ფუნქციური ტექსტები;
- განასხვაოს საბავშვო, მხატვრული და არამხატვრული (საინფორმაციო ანგარიში, ამბის თხრობა, მარტივი ინსტრუქცია და სხვ.) ტექსტები;
- სწორად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია.

II. სხვადასხვა ტიპის ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება, კერძოდ:

- ამოიცნოს სინონიმები, ანტონიმები, ბარბარიზმები, დიალექტიზმები, ნეოლოგიზმები, არქაიზ-მები, ხატოვანი გამონათქვამები;
- ჩაანაცვლოს სიტყვები და ფრაზები სინონიმური განმარტებებით;
- ამოიცნოს და განარჩიოს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები;
- განარჩიოს ნაცვალსახელთა ჯგუფები და შესაფერის კონტექსტში სწორად შეუნაცვლოს ისინი სა-თანადო სახელთა ფორმებს;
- განარჩიოს ზმნიზედები დანიშნულების მიხედვით;
- ერკვეოდეს ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, დროის, კილოს) არსში და საჭი-როებისამებრ იყენებდეს მათ;
- განსაზღვროს სხვათა სიტყვის ნაწილაკების (-მეთქი; -თქო; -ო) გამოყენების მართებულობა;
- განარჩიოს ზმნისწინით გამოხატული ძირითადი მნიშვნელობები;
- განარჩიოს წინადადების წევრები და ძირითადი შესიტყვებები;
- მართებულად გამოიყენოს მისათითებელი სიტყვები და წევრ-კავშირები მიზეზშედეგობრიობისა თუ სხვა ნიუანსების გადმოსაცემად;
- იცნობდეს და იყენებდეს სიტყვათა მართლწერის ძირითად წესებს;
- განსაზღვროს ტექსტში გამოყენებული ფორმებისა და სიტყვათშეხამებების მართებულობა ენის მოქმედი ნორმების მიხედვით;
- სწორად იყენებდეს სასვენ ნიშნებს;
- იყენებდეს განმარტებით, ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონებს.